

დამოუკიდებლობის გამოცხადების ასახვა მეხსიერების ადგილებში: ქვემო ქართლში არსებული მუზეუმების მაგალითი

საკვლევი თემა მოიცავს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების (1918 წლის 26 მაისი) და დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წლის 9 აპრილი) ისტორიული მოვლენების რეპრეზენტაციას ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში (ქ. რუსთავი, თეთრიწყარო, ბოლნისი, გარდაბანი, წალკა, მარნეული, დმანისი) მდებარე მუზეუმების მაგალითზე. მუზეუმი განიხილება როგორც ინსტიტუციური სივრცე, სადაც კოლექტიური მეხსიერება ფორმირდება, კონსოლიდირდება და თაობებს შორის გადაიცემა. წინამდებარე საკვლევი თემის ფარგლებში შესწავლილ იქნა - რუსთავის ისტორიული მუზეუმის, თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საექსპოზიციო პოლიტიკა დამოუკიდებლობის გამოცხადების ასახვის კონტექსტში.

კვლევაში განიხილება მუზეუმის საექსპოზიციო პოლიტიკა, საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამები, ასევე ექსპონატების შერჩევისა და კურატორული ინტერპრეტაციის პრინციპები, რაც ქმნის ისტორიული ნარატივის კონტურებს და განსაზღვრავს მისი ლოკალიზაციის ფორმებს. კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობას და მათი დამოკიდებულებების ანალიზს მუზეუმში წარმოდგენილი ისტორიული ნარატივის მიმართ.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე დეკოლონიზაციისა და ისტორიული მეხსიერების

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, მკვლევარი.

რეკონსტრუქციის პროცესებით, რომლებიც მოითხოვენ ეროვნული იდენტობის ხელახალ გააზრებასა და ისტორიული ნარატივების გადაფასებას. საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბებული ისტორიოგრაფიული ჩარჩოების გადახედვა და მათგან დისტანცირება მრავალი პოსტკოლონიური საზოგადოების ცენტრალურ ამოცანად იქცა (Assmann, 2011; Todorova, 1997). ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ მუზეუმებს, რომლებიც არა მხოლოდ ისტორიული ინფორმაციის შენახვასა და გავრცელებას, არამედ ლოკალური იდენტობის ფორმირებასაც ემსახურებიან. ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების მუზეუმების მაგალითზე კვლევა ნათლად აჩვენებს, როგორ ხდება ეროვნული ისტორიული ნარატივების ადაპტაცია ადგილობრივ კულტურულ კონტექსტში.

კვლევის სიახლე: პირველად ხორციელდება ქვემო ქართლში არსებული მუზეუმების ინტერდისციპლინარული ანალიზი თანამედროვე მეხსიერების თეორიების გამოყენებით. არსებული ქართული კვლევები მუზეუმების თემატიკაზე უმეტესწილად ფოკუსირდებიან ისტორიული ნარატივის აღწერაზე ან საგანმანათლებლო ფუნქციებზე, მაშინ როცა ეს კვლევა აერთიანებს მუზეოლოგიურ, დისკურსულ, სემიოტიკურ და ეთნოგრაფიულ ანალიზს, რაც მუზეუმს წარმოაჩენს არა მხოლოდ როგორც საგანმანათლებლო სივრცეს, არამედ როგორც მეხსიერების პოლიტიკის აქტიურ მოქმედ პირად.

გარდა ამისა, კვლევა აგენერირებს ცოდნას იმაზე, თუ როგორ ხდება ეროვნული დამოუკიდებლობის ნარატივის ადაპტაცია ადგილობრივ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში და როგორ მონაწილეობს მუზეუმი ეროვნული იდენტობის კონსტრუირებაში რეგიონულ დონეზე. ამდენად, კვლევა ავსებს არსებულ ცოდნას პოსტკოლონიური მეხსიერების პრაქტიკებზე საქართველოს რეგიონებში და შესაძლებლობას იძლევა, რეგიონული მუზეუმები განვიხი-

ლოთ როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი ეროვნული მეხსიერების ფორმირებაში.

კვლევაში უნდა გაეცეს პასუხი სამი ძირითად კითხვას (პრობლემა):

1. როგორ ხდება დიდი ისტორიული ნარატივის, კერძოდ დამოუკიდებლობის გამოცხადების, ინტერპრეტაცია და ადაპტაცია ლოკალურ კონტექსტში?

2. რა როლს ასრულებს რეგიონული მუზეუმი ეროვნული იდენტობის ფორმირებაში?

3. როგორ ხდება ისტორიული მეხსიერების ინსტიტუციონალიზაცია და თაობათაშორისი ტრანსლაცია მუზეუმის მეშვეობით?

ამ კითხვებზე პასუხი შესაძლებელს ხდის დავინახოთ მუზეუმის როლი მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პირობებში.

მეთოდოლოგიურად კვლევა ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს თვისებრივი კვლევის მეთოდს (სიღრმისეული ინტერვიუები მუზეუმის თანამშრომლებთან და ვიზიტორებთან, ჩართული დაკვირვება); **მუზეოლოგიურ ანალიზს** (ექსპონიციების სტრუქტურა, ექსპონატების შერჩევის კრიტერიუმები, კურატორული ტექსტები), **სემიოტიკურ და ვიზუალურ ანალიზს** (არტეფაქტების სიმბოლური მნიშვნელობა) და მათი განლაგება სივრცეში, **დისკურს-ანალიზს** (როგორც მეთოდი, რომელიც ამსხვილებს იმ ენობრივი და ვიზუალური ფორმულირებების ანალიზს, რომლებითაც მუზეუმი აღწერს და ასახავს ისტორიულ მოვლენებს). კვლევა ეფუძნება დაშვებას, რომ მუზეუმი არა მხოლოდ ისტორიის გადმოცემის ინსტიტუტია, არამედ აქტიური აქტორია მეხსიერების ფორმირებისა და სიმბოლური ძალაუფლების სტრუქტურაში.

დასკვნა რუსთავის ისტორიული მუზეუმი აქტიურად არის ჩართული დამოუკიდებლობისა და ოკუპაციის თემის რეპრეზენ-

ტაციის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავის ისტორიულ მუზეუმს არ აქვს მუდმივმოქმედი გამოფენა, სადაც ასახული იქნებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თუ ოკუპაციის თემატიკა, მუზეუმში მნიშვნელოვანი თარიღების მოახლოებასთან ერთად იწყებს თემატურ კვირეულებს (ეწყობა დროებითი გამოფენები და თემატური საგანმანათლებლო პროექტები): „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“, „საქართველოს ოკუპაცია 1921-1924 წწ.“, „ბრძოლა ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ 1921-1924 წწ.“.

თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გააჩნია რესურსი და პოტენციალი წარმოადგენდეს მნიშვნელოვან „მეხსიერების ადგილს“, სადაც ხორციელდება ეროვნული ისტორიული ნარატივის ლოკალიზაცია და ადაპტაცია. მუზეუმში ჯერჯერობით ვერ ახერხებს თავისი პოტენციალის სრულად ათვისებას. თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარმოდგენილი მასალა არის მწირი, თუმცა არსებული ფოტომასალები, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის წევრების ზეპირი ისტორიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოსწავლეებში ეროვნული თვითშეგნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ფორმირებაში.

გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუდმივმოქმედ საგამოფენო სივრცეში ადგილი აქვს დათმობილი „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფოტომატიანეს“. მნიშვნელოვან თარიღებში მუზეუმში მოსწავლეების ჩართულობით აწყობს თემატურ აქტივობებს: „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“, „27 ოქტომბერი - სოხუმის დაცემის დღე“.

ბოლნისის მუზეუმში, არც მუდმივმოქმედ და არც დროებით საგამოფენო სივრცეებში არ არის ასახული საქართველოს დამოუკიდებლობის, ოკუპაციის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თემატიკა. დმანისში ფუნქციონირებს **დმანისის არქეოლოგიური და ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი**, მისი პროფილი-

დან გამომდინარე ობიექტურად ვერ განხორციელდება დამოუკიდებლობის თემატიკის ასახვა საგამოფენო სივრცეებში. წალკისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში არ ფუნქციონირებს მუზეუმები.

მუზეუმი უნდა ასრულებდეს მედიატორის როლს ოფიციალურ ისტორიოგრაფიასა და ადგილობრივ მეხსიერებას შორის, ამყარებდეს ისტორიული უწყვეტობის განცდას და უზრუნველყოფდეს ეროვნული იდენტობის თაობათაშორის გადაცემას. ამავდროულად, მუზეუმი არის სივრცე, სადაც ცხადად უნდა იკვეთებოდეს მეხსიერების პოლიტიკის ელემენტები - რა აღინიშნება, რა რჩება უხილავად და როგორ ესადაგება ეს საერთო ეროვნულ დისკურსს.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ დამოუკიდებლობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისა და ოკუპაციის თემათა რეპრეზენტაცია მუზეუმებში საჭიროებს სისტემურ და კოორდინირებულ მიდგომას. შესაბამისად, აუცილებელია ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო ჩარჩოს შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ და რეგიონულ მუზეუმებში დამოუკიდებლობისა და ოკუპაციის თემატიკის წარმოდგენის საერთო პრინციპებს.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგიონული მუზეუმების განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას და კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკის დაგეგმვაში, რაც მიზნად ისახავს თემზე დაფუძნებული მეხსიერების გაძლიერებას და ეროვნული იდენტობის მრავალგანზომილებიანი გააზრების ხელშეწყობას.

საკვანძო სიტყვები: მეხსიერების ადგილები, კოლექტიური მეხსიერება, ეროვნული იდენტობა, დამოუკიდებლობის ნარატივი, პოსტკოლონიალური მუზეოლოგია, რუსთავის ისტორიული მუზეუმი, თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

გამოყენებული ლიტერატურა

Anderson, B. (2006). *Imagined communities: Reflections on the origin and spread of nationalism* (Revised ed.). Verso.

Assmann, J. (2011). *Cultural memory and early civilization: Writing, remembrance, and political imagination*. Cambridge University Press.

Assmann, A. (2008). Transformations between history and memory. *Social Research*, 75(1), 49–72.

Barthes, R. (1977). *Image, music, text* (S. Heath, Trans.). Hill and Wang.

Bennett, T. (1995). *The birth of the museum: History, theory, politics*. Routledge.

Clifford, J. (1997). *Routes: Travel and translation in the late twentieth century*. Harvard University Press.

Fairclough, N. (1995). *Critical discourse analysis: The critical study of language*. Longman.

Halbwachs, M. (1992). *On collective memory* (L. A. Coser, Ed. & Trans.). University of Chicago Press.

Macdonald, S. (2013). *Memorylands: Heritage and identity in Europe today*. Routledge.

Nora, P. (1989). Between memory and history: *Les lieux de mémoire*. *Representations*, (26), 7–24. <https://doi.org/10.2307/2928520>

Said, E. W. (1993). *Culture and imperialism*. Vintage Books.

Todorova, M. (1997). *Imagining the Balkans*. Oxford University Press.

Aleksandre Melikidze

Representation of the Declaration of Independence in Sites of Memory: The Case of Museums in Kvemo Kartli

The study explores the representation of the historical events of Georgia's Declaration of Independence (26 May 1918) and the Restoration of Independence (9 April 1991) through the example of museums located in the municipalities of Kvemo Kartli (Rustavi, Tetrtskaro, Bolnisi, Gardabani, Tsalka, Marneuli, and Dmanisi). The museum is approached as an institutional space where collective memory is constructed, consolidated, and transmitted across generations. Within this framework, the research examines the exhibition policies of the Rustavi History Museum, the Tetrtskaro Museum of Local Lore, and the Gardabani Museum of Local Lore in the context of representing Georgia's independence.

The study focuses on the museums' exhibition strategies, educational and cultural programs, as well as the principles of curatorial interpretation and artifact selection, which together shape the contours of the historical narrative and define its forms of localization. Special attention is given to community engagement and the analysis of public attitudes toward the narratives represented within museum spaces.

The research is relevant to ongoing processes of decolonization and the reconstruction of historical memory across the post-Soviet space, which require a re-evaluation of national identity and historical narratives. Revisiting and distancing from Soviet historiographical frameworks has become a central task for many postcolonial societies (Assmann, 2011; Todorova, 1997). In this context, regional museums acquire special significance as spaces that not only preserve and disseminate historical knowledge but also contribute to the formation of local identity. The case of museums in Kvemo Kartli demonstrates how

national historical narratives are adapted and reinterpreted within local cultural contexts.

Novelty of the research: This is the first interdisciplinary analysis of museums in Kvemo Kartli conducted through the lens of contemporary memory studies. While existing Georgian scholarship on museums largely focuses on historical description or educational functions, this research integrates museological, discursive, semiotic, and ethnographic approaches. Accordingly, the museum is conceptualized not merely as an educational institution but as an active agent within the politics of memory.

Furthermore, the study generates new insights into how narratives of national independence are localized within specific socio-cultural contexts and how museums participate in the construction of national identity at the regional level. In doing so, it contributes to the understanding of postcolonial memory practices in Georgia's regions and positions regional museums as key agents in shaping collective national memory.

The research addresses three core questions:

1. How is the grand historical narrative of independence interpreted and adapted in local contexts?
2. What role does the regional museum play in the formation of national identity?
3. How is historical memory institutionalized and transmitted intergenerationally through the museum?

Methodologically, the research employs an interdisciplinary qualitative approach, combining in-depth interviews with museum staff and visitors, participant observation, museological analysis (structure of exhibitions, selection criteria, curatorial texts), semiotic and visual analysis (symbolic meanings of artifacts and spatial arrangements), and discourse analysis (linguistic and visual framing of historical events). The

study proceeds from the assumption that the museum is not merely a transmitter of history but an active actor within the symbolic and mnemonic power structures.

Conclusion: The research findings reveal that the Rustavi History Museum is actively engaged in representing the themes of independence and occupation. Although the museum does not currently feature a permanent exhibition dedicated to statehood, the national liberation movement, or the topic of occupation, it organizes thematic weeks and temporary exhibitions around significant national dates. These include displays and educational programs such as *“The First Republic of Georgia,” “The Occupation of Georgia 1921–1924,”* and *“The Struggle Against Bolshevik Occupation 1921–1924.”*

The Tetrtskaro Museum of Local Lore possesses both the potential and the resources to serve as a significant “site of memory,” where the localization and adaptation of the national historical narrative can take place. However, the museum has not yet fully realized this potential. Although its exhibition materials remain limited, existing photographic archives and oral histories of members of the national liberation movement play an important role in shaping students’ sense of national consciousness and civic responsibility.

The permanent exhibition of the Gardabani Museum of Local Lore includes a section entitled *“The Photographic Chronicle of the Struggle for Georgia’s Independence.”* On major commemorative dates, the museum organizes thematic activities involving students, such as *“No One and Nothing is Forgotten”* and *“27 October – The Day of the Fall of Sukhumi.”*

In contrast, the Bolnisi Museum does not currently reflect the themes of Georgia’s independence, occupation, or national liberation, neither in its permanent nor temporary exhibitions. The Dmanisi Archaeological and Historical-Architectural Museum, due to its specific

profile, is objectively unable to incorporate the topic of independence into its exhibition space. The municipalities of Tsalka and Marneuli currently do not have functioning museums.

A museum should serve as a mediator between official historiography and local memory, fostering a sense of historical continuity and ensuring the intergenerational transmission of national identity. At the same time, the museum constitutes a space where the elements of memory politics become particularly visible—what is commemorated, what remains unseen, and how these choices align with broader national discourse.

The findings of the study demonstrate that the representation of independence, national liberation movements, and occupation within Georgian museums requires a systematic and coordinated approach. Therefore, the development of a unified strategy and an operational framework is necessary to define the common principles for presenting these themes across both national and regional museums.

The results of this research can be utilized in the formulation of regional museum development strategies and in planning cultural heritage policies aimed at strengthening community-based memory practices and fostering a multidimensional understanding of national identity.

Keywords: Sites of Memory, Collective Memory, National Identity, Independence Narrative, Postcolonial Museology, Rustavi History Museum, Tetrtskaro Museum of Local Lore, Gardabani Museum of Local Lore.